ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ წევრის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის გიორგი ტყემალაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2014 წლის ივლისიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 მოწვევის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიების წევრი, ხოლო 2016 წლის 2 აგვისტოდან სპორტისა და ახლაგზრდულ საქმეთა კომისიის წევრი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა:

მოგახსენებთ, რომ 2016 წლის საკრებულოს მუშაობის პერიოდში ჩატარებულია ბიუროს 25 სდომა და ამდენივე საკრებულოს სხდომა. აღნიშნულ სხდომაზზე მიღებულია 75 დადგენილება და 341 განკარგულება. მინდა ხაზი გავუსვა, რომ როგორც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული თითოეული სხდომის მომზადებასა და დადგენილებისა თუ განკარგულების მიღებაში.

საკრებულოს სხდომის განსახილველ სხვადასხვა საკითხებზე ვიყავი მომხსენებლის სტატუსით. ჩემი როგორც საკრებულოს წევრისა და თავმჯდომარის პირველი მოადგილის უშუალო მონაწილეობით შევიმუშავეთ და მივიღეთ

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, შევიტანეთ სხვადასხვა სახის ცვლილებები უკვე მიღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში.

კომისიური მუშაობა:

ა. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარებული აქვს 23 სხდომა, რომელშიც აქტიურად ვიყავი ჩართული, განვიხილეთ დღის წესრიგით გათვალისწინებული 482 საკითხი, მათ შორის მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების 217 შემთხვევა და განაშენიანების რეგულირების გეგმის 113 პროექტი. კომისიის სხდომებზე, წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, საკრებულოში შემოტანილ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის პროექტებზე მოვამზადეთ შესაბამისი დასკვნები.

აღსანიშნავია, რომ კომისიის სხდომებზე განხილული იქნა ქალაქისათვის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. მათ შორის ხაზი მინდა გავუსვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, „დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M³კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე". მოგახსენებთ, რომ დადგენილებაში შევიტანეთ ბევრი ცვლილება სწორედ მოქალაქეებთან უშუალო მუშაობის შედეგად, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. ცვლილებების განხორციელებამ ხელი შეუწყო მგზავრთა გადაყვანის დროის შემცირებას და გააუმჯობესა მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურეობის ხარისხი.

კომისიამ ასევე, გასვლითი სხდომებიც მიუძღვნა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ტრანსპორტის მიმართულებით შევიმუშავეთ და განვახორციელეთ ისეთი ცვლილებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა უფრო კომფორტულ და შეღავათიან მგზავრობას. მიღებული დადგენილების შესაბამისად შეღავათებით სარგებლობენ: ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან

გათანაბრებული პირები, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავები, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედებების ზონაში; გ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; დ) სამხედრო ძალების ვეტერანები; ე) მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახის წევრები; ვ) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები.

ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ერთობლივი ძალისხმევით დაიწყო თბილისის ავტოპარკის განახლება, აღნიშნულ პროექტზე მუშაობა გასულ წელს დაიწყო. თბილისის ავტოპარკი, ეტაპობრივად, 143 ერთეული ავტობუსით თებერვლის ბოლომდე განახლდება. ევროსტანდარტების შესაბამისი მუნიციპალური ტრანსპორტი CNG საწვავზე (ბუნებრივი აირი) მომუშავე ძრავითაა აღჭურვილი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სრულადაა ადაპტირებული. ახალი ავტობუსები, რომელთა სიგრძე 12 მეტრია, ქალაქის მასშტაბით არსებულ გრძელ დისტანციებსა და ფართოგამტარუნარიანობის ქუჩებზე ივლის. აღნიშნული ტრანსპორტით 85 მგზავრის გადაყვანაა შესაძლებელი. პროექტი მთლიანად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.გამარჯვებული სატრანსპორტო კომპანიის შერჩევა ტენდერის მეშვეობით სწორედ EBRD-ის საერთაშორისო წესების შესაბამისად განხორციელდა. ამ ეტაპზე 10 ახალი ავტობუსი ბაგებიდან ორბელიანის მოედნის მიმართულებით მომრავ N61 ავტობუსის ხაზზე დაინიშნება, აქამდე აღნიშნულ მარშრუტზე მომრავი ავტობუსები კი სხვა ხაზებზე გადანაწილდება, რაც ქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტის გადაადგილებებს შორის ინტერვალს შეამცირებს და მგზავრობას უფრო კომფორტულს გახდის. მეორე ეტაპზე კი ახალი ავტობუსები N51 ხაზს დაემატება. თბილისის მერიას ავტობუსების პარკის განახლების 4-წლიანი გეგმა აქვს, პარკის განახლება ეტაპობრივად განხორციელდება.

ასევე, მინდა ავღნიშნო, რომ შევიტანეთ მნიშვნელოვანი ცვლილებები ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესი"-ს შესახებ დადგენილებაში. რაც ითვალისწინებს შემდეგს: არსებობს მოქალაქეთა კატეგორია, რომელიც მესაკუთრეთა/მფლობელთა ნებართვით (ქირით ან ქირის გარეშე) ფაქტობრივად ცხოვრობდა

კომისიის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე და სტიქიის შედეგად დაკარგა საყოფაცხოვრებო ნივთები, მატერიალური აქტივი, მაგრამ არ ითვლებოდნენ დაზარალებულად, რადგან არ იყვნენ დაზიანებული ქონების მესაკუთრე/მფლობელები და არ ექვემდებარებოდნენ ამ წესის საფუძველზე საცხოვრისით უზრუნველყოფას , თუმცა ფაქტია, რომ სტიქიის შედეგად დაზარალდა მოქალაქეთა ეს კატეგორიაც, მათაც გაუნადგურდათ დროთა განმავლობაში შექმნილი საყოფაცხოვრებო პირობები, პირადი ნივთები, მატერიალური ქონება, მიიღეს მატერიალური და ფსიქოლოგიური ტრამვები. ზარალი ასევე განიცადა პირმა რომელსაც დატბორვის ზონაში გააჩნდა მიწის ნაკვეთი, მაგრამ მასზე არ იყო განთავსებული შენობა-ნაგებობა და ამის გამო მოკლებული იყო დახმარების მიღების შესაძლებლობას. დადგენილებაში შევიტანეთ ისეთი სახის ცვლილებები, რომლის შესაბამისადაც:

ა) შეიცვალა დაზარალებული პირის ცნება;

ბ) დაზარალებული პირის ცნების ახალი რედაქციიდან გამომდინარე, წესს დაემატა დაზარალებული პირის კატეგორია და ჯგუფები;

გ) დახმარებას მიიღებენ პირები (ოჯახები) რომლებიც სარგებლობდნენ სხვა პირის საკუთრებაში არსებული ქონებით ან მისი ნაწილით და პირები რომლებსაც დატბორვის ზონაში, საკუთრებაში გააჩნდათ მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობის გარეშე.

ასევე, ცვლილებების განხორციელების შედეგად, შესაძლებელი გახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოების მიერ 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიით დაზარალებულ პირებზე/ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა.

ზ. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

- 2016 წლის იანვრიდან 1 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 11 სხდომა. აქედან 2 გაფართოებული სხდომა. კომისიის ინიციატივით საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა სახელდების 98 ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი.

გ. სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა კომისია

2016 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარდა სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა კომისიის 13 სხდომა, განხილულ იქნა 18 საკითხი, მათ შორის ისეთი საკითხები, როგორიცაა:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ„თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრისა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის“ რეორგანიზაციისა (შერწყმის (გაერთიანების) შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (04/4803 14 მარტი 2016წ);

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, შაორის ტერიტორიაზე პროგრამა ,,მომავლის ბანაკის“ ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა. 2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივის განხილვა - დედაქალაქის საპატიო მოქალაქედ, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ალექსანდრე მეტრეველის კანდიდატურის წარდგენასთან დაკავშირებით. 3. ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის შესაბამისად-ქ.თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრა.

კომისიამ მოისმინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

თბილისის მოსახლეობასთან ურთიერთობა:

როგორც წინა წლის ანგარიშშიც ავღნიშნე, როგორც საკრებულოს წევრი და თავმჯდომარის პირველი მოადგილე ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღებას და პრობლემატიკის შესწავლის საკითხს. კვირაში ერთხელ მაქვს მოქალაქეთა მიღების დღე. შესაბამისად 2016 წლის იანვრიდან დღემდე მიღებული მყავს 600-მდე მოქალაქე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სხვა დღეებშიც მოქალაქეთა მოთხოვნის შესაბამისად ხშირად ვხვდები მოქალაქეებს, როგორც საკრებულოში ასევე ადგილებზე ან სხვადასხვა მაჟორიტარების ბიუროებში. შეხვედრებისას წარმოჩენილი პრობლემატიკა სხვადასხვა სახისაა: სოციალური, ჯანდაცვის, ურბანული და ინფრასტრუქტურული, სამართლებრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო. ყოველ კონკრეტულ საკითხს განვიხილავთ დამოუკიდებლად და

საერთო ჭრილში. საკრებულოს წევრის კომპეტენციის ფარგლებში, ყველა მოქალაქეს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია, დახმარება ან/და შუამდგომლობა.

ასევე, შემოდის სხვადასხვა ხასიათის წერილები, რომლებზეც ხდება შესაბამისი და დროული რეაგირება. მოქალაქეებთან აქტიური შეხვედრები მაძლევს საშუალებას ვიცოდე რეალური პრობლემები, ხელი შევუწყო საკითხებზე დროულ რეაგირებას და ქმედითად ვიმუშავო მთელ გუნდთან ერთად ქალაქისათვის საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრაზე.

როგორც უკვე იცით, გასული პერიოდის განმავლობაში მოსახლეობასთან დამატებითი კომუნიკაციის სახით წარმატებით დავნერგეთ სხვადასხვა რაიონის მაჟორიტარებთან გასვლითი ღონისძიებები რაიონის ბიუროებში. სწორედ ეს მაძლევს საშუალებას ჩაბმული ვიყო ქალაქის ყველა რაიონის მიმდინარე პრობლემების შესწავლისა და გადაწყვეტის საკითხებში. მინდა აღვნიშნო, რომ ასევე ხშირია მოქალაქეებთან საცხოვრებელ ადგილებზე და სხვადასხვა სახის თემატურ შეხვედრებზე გასვლის პრაქტიკა. მსგავსი ერთობლივი შეხვედრებისას, როგორც თბილისის საკრებულოს წევრი და თავმჯდომარის პირველი მოადგილე პირადად შევხვდი დაახლოებით 2000-მდე მოქალაქეს, ადგილებზე შევისწავლე და ვნახე ბევრი პრობლემა და შემდეგ უშუალოდ ვიყავი ჩართული კონკრეტული საკითხების მოგვარებაში.

კიდევ ერთხელ ავღნიშნავ, რომ ამ მხრივ, ხაზგასასმელია ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ მუშაობის სპეციფიკა, რაც ვფიქრობ კიდევ მეტ საშუალებას გვაძლევს უშუალოდ ვიყოთ მუდმივად ჩართული ქალაქის ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებაში. ფრაქციის სხდომების, თუ სხვა მუშაობის პროცესში ასევე აქტიურად ვართ ჩართული თბილისის საზოგადოებასთან ურთიერთობების პროცესში. ვთანამშრომლობთ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რათა პრაქტიკულად შევძლოთ სიკეთე მოვუტანოთ თბილისს და თბილისელებს.

თბილისისათვის მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობა:

- დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება:

მიმაჩნია, რომ 2015 წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა დედაქალაქის ახალი <u>მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის</u> შესამუშავებლად,

რაც უზრუნველყოფს დედაქალაქის მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების ჩამოყალიბებას, გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი სტრატეგიის განსაზღვრას და ტერიტორიების სამშენებლო განვითარებას.

თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ანალიზი 2015 წლის იანვარში დაასრულა, რაშიც ჩართული იყო საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაც. ანალიზის შედეგად შეიქმნა გადაუდებელი აუცილებლობა მომხდარიყო ქალაქის ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების ახალ გამოწვევებსა და პრიორიტეტებზე ორიენტირებული გენგეგმის შემუშავება-განახლება.

როგორც უკვე იცით ჩემი წინა ანგარიშიდან გენგეგმის შემუშავება-განახლების პროცესში ჩართული იყო საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია PWC (PricewaterhouseCoopers), რომელიც მსოფლიოს მასშტაბით 1000-მდე დარგობრივი სპეციალისტით იყო წარმოდგენილი და 20 ქალაქის, მათ შორის, ლიონის, ნიუ ორლეანის გენერალური გეგმების შემუშავებაში აქვს მონაწილეობა მიღებული. ამასთან, ამ დროისთვის PWC ბერლინის ქალაქგეგმარების პროექტზე მუშაობს.

მსხვილმა საერთაშორისო კონსორციუმმა, იურიდიულ პირთა გაერთიანება „მომავლის ქალაქმა", რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორც ქართული, ისე გერმანული და ფრანგული კომპანიები და ორგანიზაციები, გენგემის განახლების პროცესი 2017 წლის გაზაფხულზე უნდა დაასრულოს. მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ვიყავი ჩართული მერიის წარმომადგენლებთან ერთად გეგნგეგმაზე მომუშავე ჯგუფთან შეხვედრებში და განხილვის პროცესში. მოვისმინეთ რამდენიმე შუალედური ანგარიში და პრეზენტაცია, გაკეთდა გარკვეული სახის შენიშვნებიც და დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოო შედეგი იქნება ჩვენი დედაქალაქისათვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი.

- არქიტექტურის სამსახურთან ერთად ვიმუშავეთ ძალიან მნიშვნელოვან პროექტებზე, რომელიც 2015 წელს დაიწყო, დაემატა ახალი პროექტებიც. არქიტექტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილი იყო მათი ხედვა ქალაქის შემდგომი განვითარების კუთხით და ასევე, თუ რა მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება ამ ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო ახალი დადგენილება, რომლითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა დედაქალაქში მშენებლობის წესები.

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულრების წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისთვის მინიმალური ტერიტორია განისაზღვრა 5000 კვმ-ით, ხოლო სავალდებულო 7000 კვ.მ-ით.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის გამოანგარიშების წესმა განიცადა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, ადრე მოქმედი ნორმა მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) ანგარიშის დროს ერთმანეთისგან არ მიჯნავდა შენობას და ნაგებობას და მათთან კოეფიციენტის ანგარიშის ერთ წესს ადგენდა. ნაგებობებისთვის (მათ სართულები არ გააჩნიათ). აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე დადგნილებით, მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია არსებობდეს ნაგებობა, მაგრამ იგი არ იანგარიშებოდეს კ-1 კოეფიციენტში. ამდენად, ახალი დადგენილება განსაზღვრავს კ-1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის დასათვლელად განსხვავებულ წესს როგორც შენობისთვის, ისე ცალკე ნაგებობისთვის. ადრე მოქმედი რედაქციის თანახმად, არასრული სართულის იატაკის კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი - კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედიოდა, ხოლო, მოცემული დადგენილებით, იგი შედის ½-ით. ამასთან, სხვენში, რომელშიც მოწყობილია ისეთი მანსარდა, რომელიც წარმოადგენს სრულ სართულს, მაშინ ასეთი მანსარდა - კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის ასეთი სხვენის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობის ½-ით, ხოლო, სხვენში, რომელშიც მოწყობილია ისეთი მანსარდა, რომელიც წარმოადგენს არასრულ სართულს, მაშინ ასეთი მანსარდა- კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის, განხორციელებული ცვლილებით სხვენი, მიუხედავად იმისა მასში მოწყობილია სრული თუ არასრული სართული, კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის იატაკის ზედაპირის ფართობის ¾-ით. ასევე, ადრე მოქმედი რედაქციის მიწისზედა ავტოსადგომი მიუხედავად მისი სიმაღლისა კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედიოდა, წარმოდგენილი დადგენილებით კი, იმ მიწისზედა ავტოსადგომის ფართობი, რომლის სართულის სიმაღლე იატაკის ზედაპირიდან მომდევნო სართულის იატაკის ზედაპირამდე აღემატება 3 მეტრს, გარდა ცალკე მდგომი ავტოსადგომისა, კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად.

ადრე მოქმედი წესების თანახმად, სპეციალური (ზონალურ) შეთანხმება თავისი არსით წარმოადგენდა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს, თუმცა იგი არ ადგენდა ტერიტორიების

გამოყენების საგამონაკლისო სახეობებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის პირობებს და ასევე არ განმარტავდა სპეციალური (ზონალურ) შეთანხმების გაცემისთვის საჭირო ქალაქგეგმარებითი პროექტის არსს. დადგენილების შესაბამისად დგინდება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის კონკრეტული მოთხოვნები სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მისაღებად, რაც ეფუძნება საგამონაკლისო წესის არსს. აუცილებელი გახდა სამშენებლოდ განსავითარებელი ტერიტორიის კვლევა და საგამონაკლისო წესით სამშენებლო განვითარების მიზნის დასაბუთება.

ასევე, ახალი დადგენილება ითვალისწინებს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე მიშენება-დაშენების აკრძალვას, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა. კერძოდ, იმ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, რომელთა იერსახე დარღვეულია და ხდება მათი იერსახის მოწესრიგება, დასაშვებია მიშენება, დაშენება, ან/და მანსარდის მოწყობა მხოლოდ ერთიანი პროექტისა და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის არსებობის პირობებში.

ასევე, ახალი დადგენილებით მოხდა ავტოსადგომის მინიმალური რაოდენობის განსაზღვრა საცხოვრებელი ფუნქციის შენობა-ნაგებობის და სასაფლაოების ახალი მშენებლობის შემთხვევაში. მინიმალური რაოდენობა დიფერენცირებულია ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონების (ცენტრალური ზონა, გეგმარებითი კარკასი, შუალედური ზონა, პერიფერიული ზონა) შესაბამისად. ასევე, გათვალისწინებულია ავტოსადგომის, პანდუსებისა და ავტოსადგომებთან მისასვლელების გაბარიტური ზომები და ის ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს ავტოსადგომების გამართულად ფუნქციონირებას.

დადგენილებით ასევე, განხორციელდა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს ტერმინთა დაზუსტებასა და მათ ტექნიკურ რეგლამენტთან და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანას.

რაც შეეხება სკოლამდელი აღზრდის მიმართულებას, ამ მხრივაც საკმაოდ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2015 წელს მივიღეთ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-

ამორიცხვის წესი.“ აღნიშნული წესის მიზანია, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მართვის დეცენტრალიზაცია და მომსახურების ეფექტიანობის გაზრდა, ასევე სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვა (5-დან 6 წლამდე აღსაზრდელებზე) ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციის და მიღება-ამორიცხვის პროცესის გაუმჯობესება და სასწავლო–სააღმზრდელო პროცესის განვითარება.

2016 წელს გაიხსნა 7 ახალი ბაღი, რომელთა მშენებლობა 2015 წელს დაიწო, ხოლო 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 10 ახალი ბაღის აშენება, აქედან 4 ბაღის მშენებლობა უკვე დაწყებულია.

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება, მიღება და შემდგომი შესრულების კონტროლი:

ასევე, აქტიურად ვიყავი ჩართული დედაქალაქის 2016 წლის ბიუჯეტის განხილვის პროცესში, ბიუჯეტის მომზადებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამუშაო პროცესებში და მიღების შემდგომ მისი შესრულების კონტროლში. საკრებულოს წევრებმა, ასევე, მოვისმინეთ მერიის სხვადასხვა საქალაქო სამსახურის უფროსების და რაიონების გამგებლების ანგარიში მათ მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ. ყველა აღნიშნულ პროცესში აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული.

ჯანდაცვის კუთხით განხორციელდა ბევრი პროექტი, რომელიც 2015 წლის ბიუჯეტში ჩადებული იყო სხვადასხვა პროგრამების სახით და 2016 წელს გაგრძელდა დაემატა ახალი პროექტებიც.

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და მათი განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე''. საკრებულოს დადგენილება მოიცავს ონკოპრევენციის პროგრამის, ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამის, ლეიკემიისა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებში (30 წლამდე ასაკის) ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის პროგრამის განხორციელების წესებს.

განისაზღვრა და დამტკიცდა C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანასების განხორციელების წესი.

ასევე, განისაზღვრა ,,აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის'' ქვეპროგრამის განხორციელების წესი.

დამტკიცებულ იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის, ასევე იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნიათ თბილისში და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სოციალური დახმარებისა და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის განხორციელების წესი".

მიღებულია ადრეული ძუძუს კიბოს (I-III სტადია) მქონე პაციენტების მედიკამენტების უზრუნველყოფისთვის საჭირო პროგრამა (ჰერცეპტინი).

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებაში" შევიტანეთ ცვლილებები, ცვლილების შესაბამისად დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესი. ახლებურად განისაზღვრა ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსების მეთოდოლოგია და ანგარიშგების წესი, კერძოდ, ქვეპროგრამის მოსარგებლეთა დაფინანსება განხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით. ასევე, შეიცვალა ქვეპროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი აქტივობების ფორმულირება, კერძოდ, სრულად დაფინანსდება პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-130 დადგენილებაში" ცვლილების შესაბამისად კი დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდების დაფინანსება" ქვეპროგრამის კომპონენტის უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში", სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსება და

„შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელება. მიღებული ცვლილებებით განსაზღვრულია ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურები, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებული ელექტრონულ მოდულში რეგისტრაციის საშუალებით იქნება შესაძლებელი, ამასთან პროექტით გათვალისწინებულია ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, დაფინანსების მეთოდოლოგია, ანგარიშგების წესი, მოსარგებლეებისათვის მომსახურების მიმწოდებლის შემოწმებისა და საანგარიშგებო დოკუმენტების ინსპექტირების ფორმები.

- ჩემს წინა ანგარიშშიც ავღნიშნე და ვფიქრობ კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია საკრებულოს მიერ ქ. თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის დამტკიცების საკითხი, რომელიც 2015-2020 წლებისათვის პასუხობს შემდეგ ძირითად გამოწვევებს:

- თბილისის გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა;
- გარემოსდაცვითი მმართველობისა და ინსტიტუციური მართვის გაძლიერება და მათი შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან;
- გარემოსდაცვითი განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია მიზნად ისახავს უარყოფითი გარემოსდაცვითი ზეგავლენების შემცირებას, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

სტრატეგიაში დასახულია მიზანი, მოცემულია არსებული მდგომარეობის ანალიზი და პრობლემები და ჩამოყალიბებულია სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები ქალაქის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა წყლის რესურსები, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, ბიოლოგიური მრავალფეროვნება, მყარი ნარჩენების მართვა, კლიმატის ცვლილება, ენერგოეფექტურობა, სტიქიური მოვლენები, გარემოსდაცვითი მმართველობა, განათლება მდგრადი განვითარებისთვის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ჩემი აზრით, სტრატეგიის განხორციელებით საბოლოო ჯამში მიიღწევა თბილისის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი – „თბილისი მწვანე ქალაქი", რაშიც იგულისხმება თბილისის ეკოლოგიურად სუფთა ქალაქად გადაქცევა, მიმზიდველი და ჯანსაღი გარემოს შექმნა, ქალაქში უკეთესი ცხოვრების, შშმ პირებისათვის გადაადგილების, დასვენების უკეთესი გარემოს და სამუშაო პირობების შექმნა.

საგულისხმოა, რომ თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის განხორციელება უნდა მოხდეს თბილისის ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელშიც შევა კონკრეტული ღონისძიებები, შემსრულებლები და დაფინანსების წყაროები სტრატეგიული მიმართულებების მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

სტრატეგიის მონიტორინგი და განახლება ხდება საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ.

- ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის მუშაობა

მე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოზიციიდან აქტიურად ვარ ჩართული თბილისის საკრებულოს აპარატის ყოველდღიურ საქმიანობაშიც. მოგეხსენებათ, სწორედ საკრებულოს აპარატი ამზადებს თბილისის საკრებულოს სხდომებსა და სხვა ტექნიკურ საკითხებს. უშუალოდ საკრებულოს აპარატში მუშაობს 300-მდე თანამშრომელი. შესაბამისად, აპარატის გამართული მუშაობა ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს მთელი საკრებულოს სამუშაოს ეფექტურობას. მინდა აღვნიშნო, რომ მაქვს ყოველდღიური კომუნიკაცია აპარტის თანამშრომლებთან.

ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგად, 2016 წელს აპარატის თანამშრომელთა გუნდურობის, მუშაობის ეფექტურობისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოეწყო გასვლითი ტრეინინგები თბილისის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე.

სხვა პროექტებში მონაწილეობა:

ასევე, მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს მიერ განხორციელებულ პროექტებსა და ღონისძიებებში, რომელთა შორისაც ჩემი განსაკუთრებული აქტიურობით და მხარდაჭერით გამოვყოფდი რამდენიმეს:

შობის დღესასწაული, ალილოს მსვლელობა.

საკრებულოში ხუთივე მოწვევის საკრებულოს წევრ ქალბატონებთან შეხვედრა.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი პროექტის „გადავწეროთ ვეფხისტყაოსანი“ ღონისძიება.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში ტრადიციული რეწვის და დიზაინის თბილისის პირველი საერთაშორისო სამიტის პრეზენტაცია.

თასების მფლობელთა თასის გამარჯვების 35 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საკრებულომ ვეტერან ფეხბურთელებს უმასპინძლა.

საკრებულოში პროექტის „თბილისური წალკოტი“ წარდგენა გაიმართა.

თბილისის მერიასა და გერმანულ საავტომობილო კომპანიას „Man Truck and Bus AG“ შორის ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია.

უანგარო დონორთა აქცია - „გაიღე სისხლი გადაარჩინე სიცოცხლე“.

თბილისის საკრებულო აქცია - „მსოფლიო დღეს ავტომობილის გარეშე“.

თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისის“ ფინალისტების დასახელება.

„არქიტექტურული პრემია 2016“-ის გამარჯვებულების დაჯილდოვება.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი 2016“ დაჯილდოება გაიმართა.

საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და სხვა სახის აქტივობები:

როგორც ჩემი წინა ანგარიშიდან მოგახსენებთ, 2014 წლიდან ვარ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (nala) ვიცე-პრეზიდენტი. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია წარმოადგენს არასამთავრობო არასამეწარმო და არაპოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს საქართველოს ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს. ასოციაცია თანამშრომლობს მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ გაერთიანებასთან. ადგილობრივ თვითმმართველობათა ევროპული ასოციაცია არის საქართველოს მთავრობის პარტნიორი ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის თვითმმართველობაში.

იმავდროულად, ვარ ევროსაბჭოს ,,ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესის" წევრი (The Congresse of local and regional authoritie). აღნიშნული კონგრესის მიწვევით ვიმყოფებოდი სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხებისა და თემების განხილვაზე:

2016 წელი :

22 – 24 ოქტომბერი - 30-ე სესია, კონგრესის შეკრება სტრასბურგში, სადაც განიხილებოდა ,,ეთიკა და გამჭვირვალეობა ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე", აღნიშნულ თემას რამდენიმე დებატი მიეძღვნა. ასევე იყო მნიშვნელოვანი თემები: ადგილობრივ დონეზე ინტერკულტურული საზოგადოებების შექმნის მზარდი გამოწვევევბი; ევროპის ქვეყნებში პოსტ-მონიტორული აქტივობების მნიშვნელობა; ავტონომია და საზღვრები. აღნიშნულ სესიაზე მიწვეული გახლდით კონგრესის წევრის სტატუსით და შევდიოდი ქართული დელეგაციის შემადგენლობაში, როგორც მისი „ძირითადი წევრი". კონგრესის 30-ე პლენარულ სესიაზე აქცენტი გააკეთდა გამჭვირვალობაზე რეგიონალურ დონეზე; მიმოხილულ და განხილულ იქნა სიტუაცია ევროპაში და პარტნიორი ქვეყნების ევროპასთან დაახლოების პროცესები. სიტყვით გამოვიდა კონგრესის პრეზიდენტი, Anders Knape, რომელმაც ისაუბრა ქვეყნების წახალისების აუცილებლობაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ყველა მუხლის მიღებისთვის;. დეპუტატებმა განიხილეს დევნილთა კრიზისის მონიტორინგი და პოსტ-მონიტორინგული პროცესები. გაერთიანებული ერების უმაღლესი კომისარი დევნილთა საკითხებში, იმედოვნებს რომ მიმდინარე პრობლემებთან სამუშაოდ, კონგრესი დაეხმარება ადგილობრივ ხელისუფლებას რესურსების მობილიზებაში; ასევე განიხილეს იძულებით გადაადგილებულ პირთა პირობები და გამოთქვეს მზადყოფნა მათ დასახმარებლად.

ამ და სხვა საკითხებთან ერთად, გაიმართა პოსტ-მონიტორინგული დიალოგი, სომხეთზე უკრაინასა და საქართველოზე; სესიაზე ყურადღება გაამახვილეს პოსტ-მონიტორინგის საჭიროებაზე; აღინიშნა, რომ იგი აძლევს კონგრესს შესაძლებლობას იმუშაოს ხელისუფლებასთან ერთად და ერთობლივად დააკვირდეს რეკომენდაციების სამართლებრივ ჩარჩოებში განხორციელების პროცესს.

- 13-16 ივნისი - გაიმართა მიმდინარე საკითხთა კომიტეტის მორიგი შეხვედრა შეხვედრა სტრასბურგში. სხდომის ძირითადი მიზანი იყო დამუშავების პროცესში მყოფ ანგარიშებზე მოსაზრებების გაზიარება და ამ ანგარიშების მოწონება, მათი დასამტკიცებლად წარდგენა.განხილული იყო ეთიკურობა და გამჭვირვალობა ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე. მოვისმინეთ, დამუშავების პროცეში მყოფი ანგარიშების წინასწარი შეფასებები კორუფციის აღმოფხვრასთან და ადმინისტრაციული რესურსების არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით საარჩევნო პერიოდში.

- 19-21 ოქტომბერი - გაიმართა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფალთა რიგით 31-ე სესიის შეხვედრა სტრასბურგში. მიმდინარე წლის ორი სესიის თემა გახლდათ: ,,ეთიკა და გამჭვირვალობა ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე". ამავე თემაზე გაიმართა დებატებიც. დებატები ასევე გაიმართა რეგიონულ დონეზე ქალთა წარმომადგენლობასა და პოლიტიკურ მონაწილეობაზე, რადიკალიმზთან ბრძოლაზე, გენდერული ბიუჯეტირებისა და მუნიციპალურ რაიონებში ეფექტურ მმართველობაზე. ასევე, განვიხილეთ კვიპროსის ადგილობრივი დემოკრატიის ანგარიშები, სომხეთის ადგილობრივი შუალედური არჩევნების სადამკვირვებლო მონაცემები და სერბეთის ადგილობრივი არჩევნები.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის პირველი მოადგილე *გიორგი ტყემალაძე*